ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3033416

ნომერი: AR1468241

თარიღი : 03.01.2017

გაცემის თარიღი : 10.01.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიგოლ ლორთქიფანიძე , N 19ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 03/01/2017 წლის თქვენი №AR1468241 განცხადება ამავე სამსახურის 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანების

ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, გრიგოლ ლორთქიფანიძის (ყოფ. კაიროს) ქ. №19ა–ში, შპს „ყავის სახლი–ქენინგჰოლის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.34.002.010) შეთანხმდა სავაჭრო ობიექტი – მაღაზიის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 14 მაისიდან 2016 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით. ამავე სამსახურის 24/11/2016 წლის №2962205 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, გრიგოლ ლორთქიფანიძის (ყოფ. კაიროს) ქ. №19ა-ში, შპს „ყავის სახლი-ქენინგჰოლის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.34.002.010) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტის- მაღაზიის) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №ბ-3264691/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქმშენებლობით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათ დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. სამსახურის 24/11/2016 წლის №2962205 გადაწყვეტილებით განხორციელებული წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე არქიტექტურის სამსახურის 14/05/2016 წლის №2592516 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 106.5, საერთო ფართობი (კვ.მ).:94.9, კომერციული ფართობი (კვ.მ).:40.7, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:54.2, სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).:316.8, 0.00 ნიშნულს ზევით (მ).:316.8, 0.00 ნიშნულს ქვევით (მ).:0.0;
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/05/2016 წლის №2592516 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.